## პროექტი ,,განათლება მომავლისთვის“

## მდგრადი განვითარების მიზანი 4 – ,,ხარისხიანი განათლება „

**107 ეს საჯარო სკოლა, შპს. თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლა.**

**პედაგოგი--ლაურა კაველიძე**

**საგანი--გეოგრაფია**

**საკონტაქტო ინფორმაცია--laura.kavelidze@gmail.com; 593 78 77 04;**

**პროექტის იდეა--**კვლევა: როგორ მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოებაში ციფრული მოქალაქის ჩამოყალიბება. მედიაწიგნიერება.

**საკითხის აქტუალობა--** ციფრული მოქალაქის ჩამოყალიბება დღევანდელ ტექნოლოგიურ ეპოქაში უმნიშვნელოვანესია, ციფრულ სამყაროში ინფორმაციის სიმრავლე ხელს გვიშლის სანდო წყაროს იდენტიფიცირებაში. ციფრულ მოქალაქემ კი იცის, როგორ შეამოწმოს ინფორმაცია, გაარჩიოს ფაქტი ფიქციისგან და მიიღოს გააზრებული გადაწყვეტილებები. იციან, თუ როგორ დაიცვან თავი ონლაინ საფრთხეებისგან, აანალიზებენ ინფორმაციას, აფასებენ მის სანდოობას და გამოხატავენ საკუთარ აზრს, აქტიურად მონაწილეობენ ონლაინ დისკუსიებში, იცავენ საკუთარ უფლებებს და იბრძვიან სამართლიანობისთვის.

**პროექტის მიზანი** --მოსწავლეებმა გაიაზრონ ხარისხიანი განათლების მნიშვნელობა. ჩაატარონ კვლევა და იმსჯელონ საქართველოში განათლების ხელმისაწვდომობაზე, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობაზე. გაუზიარონ მისი მნიშვნელობა სასკოლო საზოგადოებას. კვლევის და ძიების პროცესი წარმართონ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. დაეუფლონ სანდო ინფორმაციის მოძიება/დამუშავების და პრეზენტაციის შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიურ მეთოდებს.

**სამიზნე ჯგუფი--**11 კლასი. საშუალო საფეხური.

**პროექტის ხანგრძლივობა--**4 კვირა

**პროექტის მოსალოდნელი შედეგები--**მოსწავლეებს გაუფართოვდებათ ცოდნის დიაპაზონი. ჩამოუყალიბდებათ კრიტიკული და კრეატიული აზროვნება, პრობლემის გადაჭრის უნარები, შეიძენენ კვლევის და ანალიზის თანამედროვე უნარ-ჩვევებს.

**პროექტის განხორციელების აქტივობები--**

1. გონებრივი იერიში--მოსწავლეები **Padlet**-ის გამოყენებით ასახელებენ რას გულისხმობს ,,ციფრული მოქალაქე“. მათი პასუხების მიხედვით ვიწყებთ მსჯელობას. მოჰყავთ მაგალითები საკუთარი პრაქტიკიდან.

2. მინი ლექცია **Canva-ს** პრეზენტაციით. მოსწავლეები გაიაზრებენ ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობებს. ხაზს გავუსვამ ციფრულ მოქალაქეობის აქტუალობას და მნიშვნელობას. იმსჯელებენ დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებზე: კრიტიკულად მოაზროვნე, ინფორმირებულ და აქტიურ მოქალაქეებზე, რაც მაღალი დონის განათლების გარეშე შეუძლებელია. განათლების შესაძლებლობა დღეს უკავშირდება ტექნოლოგიური მიღწევების ცოდნას, მისი გამოყენების შესაძლებლობას. პრეზენტაციის შემდეგ გავმართავ მცირე დებატებს მოსმენილთან დაკავშირებით.

   https://www.canva.com/design/DAGb0EXl9Io/WUmws7FhhP8AXf-WpRRZCQ/edit?utm_content=DAGb0EXl9Io&utm_campaign=designshare&utm_medium=link2&utm_source=sharebutton

3. გამოკითხვის ჩატარება **Microsoft forms**-ის გამოყენებით.
   კითხვები:
   https://forms.office.com/e/YG1njA5uRz?origin=lprLink

   1. როგორ ფიქრობთ იღებთ თუ არა ხარისხიან განათლებას?

   2. გაქვთ თუ არა წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებთან?

   3. შეგიძლიათ თუ არა თანამედროვე ინტერნეტრესურსების გამოყენება?

   4. იცით თუ არა როგორ გაარჩიო სანდო და არასანდო ინფორმაცია ინტერნეტში?

   5. იცით თუ არა როგორ დაიცვათ პირადი ინფორმაცია?

4. სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება **Infogram.com-ის** და ინფოგრაფიკის შექმნა **Canva-ს** საშუალებით. ამ ეტაპზე დამუშავდება და გამოყენებულ იქნება ასევე გამოკითხვის შედეგები.
   მოსწავლეები მოიძიებენ და დაამუშავებენ ინფორმაციას შემდეგი საკითხების მიხედვით:
   ა) რამდენი ბავშვი იღებს სრულყოფილ განათლებას საქართველოში?
   ბ) რამდენ მოსწავლეს მიუწვდება ხელი ტექნოლოგიურ რესურსებზე?
   გ) რამდენმა მოსწავლემ იცის ინტერნეტრესურსების ადეკვატური გამოყენება?
   დ) რამდენმა ადამიანმა იცის როგორ დაიცვას პირადი ინფორმაცია?
   ე) რამდენი ადამიანი ახერხებს სანდო ინფორმაციის მიღებას?
   ვ) რამდენ ბავშვს აქვს კომუნიკაცია სხვადასხვა ქვეყნის თანატოლებთან ტექნოლოგიების გამოყენებით?

5. პროექტის ფარგლებში დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე შექმნიან პრეზენტაციას **https://new.express.adobe.com/-ის** გამოყენებით. შედეგებს წარადგენენ სასკოლო საზოგადოების წინაშე. სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება იმ ციფრულ ტექნოლოგიებზე რაც აქტიურად იქნა გამოყენებული მუშაობის პროცესში. ისაუბრებენ მათ მნიშვნელობასა და სარგებლიანობაზე.

**პროექტის მონიტორინგი და შეფასება--** პროექტზე მუშაობისას საინფორმაციო შეხვედრების საშუალებით გავიზიარებ მათ იდეებს, შემოთავაზებულ წინადადებებს და მივცემ შესაბამის რეკომენდაციებს.

**გამოყენებული რესურსები:**

1. https://gemini.google.com/
2. https://www.canva.com/
3. https://forms.office.com/